იტალიური დაბრკოლება

თბილისი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 28 სექტემბერი.
„დინამო“ თბილისი – „ინტერნაციონალე“ მილანი – 0:0
„დინამო“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე (ჩივაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (დარასელია).
„ინტერნაციონალე“: ბორდონი, ბარეზი, ორიოლი, მარინი, კანუტი, ბინი, პავონე, სკანციანი, ანასტაზი (ალტობელი), მერლო, მურარო.
მსაჯი: ეშვაილერი (გფრ)
გაფრთხილებული არიან – ორიალი, გუცაევი, ბინი.

ითქვა და სავსებით სამართლიანადაც, რომ ნებისმიერი საკლუბო გუნდის ღირსება ევროპის ოფიციალურ ტურნირებში მოპოვებული შედეგებით იზომება. ამ მრავალბადიან საზომ–საცერში თბილისის "დინამო" რამდენჯერმე მოხვდა. იყო წარმატებაც (რა თქმა უნდა შეფარდებითი) და წარუმატებლობაც.

წლეულს ქართველმა ფეხბურთელებმა მესამედ "გადაუგდეს ხელთათმანი" ევროპულ გრანდებს. პირველივე მეტოქე საქვეყნოდ ცნობილი "ინტერი" გამოდგა. მერედა რა? თუ ოქროს თევზს ვერ მოვიხელთებთ, საკუთარი თავის მოსინჯვის თვალსაზრისით ასეთი ოპონენტი ხომ მართლაც მისწრებაა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ერთი ან თუნდაც რამდენიმე მსგავსი მატჩი შეიძლება სერიოზული დასკვნების საფუძვლად იქცეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თითოეულ მათგანს გუნდის შეფასებაში უთუოდ შეაქვს გარკვეული კორექტივები.

ამ კუთხით შევხედოთ მილანისა და თბილისის ორთაბრძოლებსაც, აქვე შევთანხმდეთ იმაზეც რომ "ინტერი" ის ძველი ინტერი აღარ არის (ასეთი დასკვნების უფლებას მისი ბოლო წლების მაჩვენებლები იძლევა). თუმცა მაცოლასა და ფაკეტის გუნდი დღესაც არ ჩამოსცილებია ევროპის საფეხბურთო ელიტას.

მილანის მატჩზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. ბუნებრივია, მხოლოდ კარგი საქებარი სიტყვა "დინამომ" მართლაც დაიმსახურა ასეთ სერიოზულ ტურნირში, ასეთ ძლიერ მეტოქესთან სტუმრად გამარჯვება მოურჯულებელ სკეპტიკოსსაც კი პირში წყალს ჩაუგუბებდა. თუმცა მარტო ორი ქულის მოპოვებითაც ვერ ავხსნით ამ საყოველთაო აღტაცებას. მთავარი ალბათ მაინც ის იყო, რომ იმ შეხვედრაში "დინამომ", ჭკვიანი, დისციპლინირებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. შთაბეჭდილება კი სრულებითაც არ ყოფილა მოჩვენებითი. ასეთ დეტალს გავიხსენებდი: მატჩის მსვლელობისას არაერთხელ იყო იმის ცთუნება, რომ გუნდი შეტევაზე ფარო ფრონტით გადასულიყო, ფეხბურთელებმა არ ისარგებლეს ამ თითქოსდა ხელსაყრელი შესაძლებლობით და სწორადაც მოიქცნენ – დასახული გეგმა ბოლომდე განხორციელდა, უდავოდ ამ რაციონალური, კარგად გააზრებული ტაქტიკის შედეგი იყო ის ერთადერთი გამარჯვების გოლიც. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა დანარჩენი მონაცემების მიხედვით ეს არ ყოფილა თბილისელთა საუკეთესო მატჩი. გუნდის ნახევარდაცვისა და თავდასხმის უკეთესი თამაშიც გვინახავს. თუ ამას პირველი წუთების მეტისმეტ ღელვასაც (ეჭვი არ არის ამ ხინჯს დრო და გამოცდილება გამოასწორებს) დავუმატებთ, ჩვენი გუნდი მეტის შემძლე კოლექტივად წარმოგვესახება. ეს კი, ეშმაკმა დალახვროს, მგონი ცუდი არ უნდა იყოს.

თქმა არ უნდა, თბილისში სულ სხვა ბრძოლა იყო მოსალოდნელი მატჩის წინ გუნდებს ერთმანეთის შესახებ უფრო გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნათ და უთუოდ სხვაგვარ ტაქტიკურ იარაღსაც მიმართავდნენ. მოსალოდნელი იყო ახალი სახელების გამოჩენაც.

ასეც მოხდა.

"ინტერი" მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, ანგარიშმიუცემლად არ გადასულა შეტევაზე. იტალიელებმა ჯერ მინდვრის ცენტრში მოაგვარეს საქმეები. საგანგებოდ არაფერს ვამბობთ მცველებზე, რადგან "ინტერმა" მილანური "ვარიანტი" გაიმეორა – ისევ პრესინგი საკუთარ ნახევარზე. ყიფიანს – სკანციანი, გუცაევს – კანუტი, შენგელიას – ბარეზი. აი, ასე სამი წყვილი ჩვენი თავდამსხმელების გადაადგილებისა თუ ადგილების მონაცვლეობის მიუხედავად განუყრელი იყო. ბინი, როგორც წინასწარ განაცხადა ბარსელიმ, ლიბეროს – თავისუფალი მცველის მოვალეობას ასრულებდა, სტუმრებმა წინ ანასტაზისა და მურაოს მიუჩინეს ადგილი.

"დინამომ" ერთი გამონაკლისის გარდა პირწმინდად გაიმეორა პირველი მატჩის სქემა. ეს გამონაკლისი ყიფიანის, როგორც ნახევარმცველის ფუნქციების ერთგვარი შეცვლა იყო. დავითი,

ტრავმისა და სხვა მიზეზების გამო მთელი დატვირთვით არ მოქმედებდა მინდვრის შუაგულში. ფაქტიურად თბილისელები სამი – სამ-ნახევარი ნახევარმცველით თამაშობდნენ.

"ინტერმა" უცბად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. მერლო და მარინი (ნახევარმცველთა ცენტრალური ტანდემი) მორიგეობით ეთამაშებიან მანუჩარ მაჩაიძეს. როცა ამ საქმით მარინია დაკავებული, დირიჟორის როლს მერლო კისრულობს და პირიქით. ამ ფაქტორმა და ქართველი ფეხბურთელების ზედმეტმა ნერვიულობამ პირველ ტაიმში უპირატესობის საკითხი მილანელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მართალია, ეს არ იყო რაიმე ხიფათის შემცველი უპირატესობა, მაგრამ ასეა თუ ისე, ორმოცდახუთწუთიან ტაქტიკურ ბრძოლაში "დინამო" წაგებული დარჩა.

უთუოდ სწორია, რომ ნამდვილ გუნდს იმას უწოდებენ, ვინც გაცილებით უკეთ თამაშობს მეორე ტაიმს. გუშინდელ შეხვედრაში ასეთად "დინამო" მოგვევლინა. თქმა არ უნდა, შემთხვევით და თავისთავად არაფერი ხდება. თუ ამ მატჩს აზრების ბრძოლას ვუწოდებთ (დღეს კი ფეხბურთი უამისოდ ძნელი წარმოსადგენია), მაშინ ყველაზე გამართლებულ, ჭეშმარიტების შემცველ აზრად უთუოდ შენგელიას დარასელიათი შეცვლის იდეა უნდა მივიჩნიოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ შენგელიას თამაშის ხარისხს არაფერი საერთო არა აქვს ამ ცვლილებასთან. უბრალოდ, ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ნახევარმცველი ესაჭიროებოდათ.

"დინამო" მტკიცედ ეუფლება ცენტრს, ყიფიანი სახიფათოდ დაუახლოვდა ბორდონის კარს, ძალზე აგრესიულად თამაშობს დარასელია, სულ უფრო უჭირს გუცაევის შეკავება კანუტის, როგორც იქნა ერთი ბურთის უპირატესობის ფსიქოლოგიური ტვირთიც ჩამოიხსნეს ბიჭებმა და "ინტერის" კართან ერთი–მეორის მიყოლებით იქმნება საგოლე მომენტები მაგრამ ამ ნახევარსაათიან იერიშს მაინც არ მოჰყვა გოლი. ბოლო თხუთმეტი წუთი ისევ ფრთხილი და ნერვიული თამაშის წუთებია. რა თქმა უნდა, გოლიც, გამარჯვებაც შინ და სტუმრად ბევრად უფრო სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ არც "ინტერის" გზიდან ჩამოცილებაა ნაკლებ სასახელო.

ქართველმა ფეხბურთელებმა გადალახეს პირველი, იტალიური ზღუდე, უეჭველია, არანაკლებ რთული და ძნელი იქნება შემდეგიც. ყველა გულშემატკივრის სურვილი იქნება, "დინამომ" გამონახოს საამისო ძალაც.

”ლელო” 29.09.1977 წ.